# ფანტაზია

№15 (86) 1998

1–7 ივნისი | ი/ს „ფანტაზიის“ შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 20 თეთრი


## ლეონარდო დი კაპრიოს საკროსვორდო პრეზენტაცია



## კალენდარი

**31 მაისი**

– 1942 წ. – ჩეხმა პატრიოტებმა მოკლეს გესტაპოს ლიდერი ჰეიდრიხი.

– 1952 წ. – საბჭოთა კავშირში გაიხსნა ვოლგა-დონის არხი.

– 1961 წ. – სამხრეთ აფრიკა გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

**დაიბადნენ:**

– 1819 წ. – უოლტ უიტმენი, ამერიკელი პოეტი.

– 1930 წ. – კლინტ ისტვუდი, ამერიკელი კინომსახიობი და რეჟისორი.

**გარდაიცვალნენ:**

– 1594 წ. – ჯაკოპო ტინტორეტო, იტალიელი მხატვარი.

– 1809 წ. – იოზეფ ჰაიდნი, ავსტრიელი კომპოზიტორი.

**1 ივნისი**

– ტუნისის ეროვნული დღე.

– 836 წ. – ვიკინგებმა დაიპყრეს და დაარბიეს ლონდონი.



კროსვორდები შეადგინა ვახტანგ ელერდაშვილმა

## წელი მოლო ზაფხულის დინში...



ფანტაზია №15 1998 წელი — FINISH

**თ:** 7. მაშ , რა გველის უახლოესი სამი თვის განმავლობაში? 8. „დაავადება“, რომლის „ბობოქრობის“ სეზონი თითქმის გავიდა. 10. სად (რაზე?) მოუწევს წასვლა ბევრ თქვენგანს (-ზე-მეთქი)? 11. რობერ ოსეინის პოპულარული კინოპერსონაჟი. 12. ერთობ თანამედროვე სპეციალობა. 13. სადოკუმენტედ გამზადებული ქაღალდის ნაწილი. 16. ერთი ბუნებრივი ცნებისათვის სპარსულ „კალაპოტს“ ვხმარობთ, მისი ხელოვნური ვარიანტისათვის კი თურქული სიტყვა ვისესხეთ... მაინც რომელი? 18. სამხედრო ჩინი ძველრუსულ და ევროპულ არმიებში. 19. როგორი ხასიათი აქვთ, როგორც წესი, მიზანთროპებს? 21. ჩვენს ენაში ერთობ შემო-მოდ-ურებული სანახაობრივი სიტყვა. 22. ანგლო-საქსონელ მამაკაცთა სპეციფიური სახელი. 26. მიხეილ კვესელავას საყვარელი რიცხვითი სახელი. 27. თამარის სახელთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძეგლი. 28. რა ჰქვია ჩვენს კონიაკს ევროპაში? 29. სპორტული მწვრთნელის საკეთებელი წინასატურნირო საქმე.

**შ:** 1. ქალაქი, სადაც ახლა ქართველთა „ყველა გზა მიდის“. 2. ასაკთან დაკავშირებული „საპატიო“ სიტყვა. 3. სიყვარულის სახესხვაობა (როგორი?) 4. „საზაფხულო“ სივრცე. 5. საინფორმაციო დაფა. 6. შეძენილი მოყვასი. 9. ფეხმძიმობასთან დაკავშირებული ცნება. 14. სპორტის სახეობა. 15. ქართველი მსახიობი ქალი, რუსთაველის თეატრის მსახიობი. 17. სანახაობრივ ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესია. 20. სოფელი ხევსურეთში, რომელსაც „იტალიური“ სახელი ჰქვია. 23. ადამიანებზე ზემოქმედების (ვითომ) ჯადოქრული საშუალება. 24. პოპულარული ქსოვილი. 25. შიშსა და პანიკას მოყოლებული სიტყვა.

რობერტ იანგი

# როცა დრო იბადებოდა



*დასაწყისი ა.წ. „ფანტაზია“ № 10-14*

— ჩვენ ასეც ვფიქრობდით, ყმაწვილო, რომ შენ მომავლიდან ხარ მოსული. ჩვენ ამ დედამიწას დიდი ხანია ვიცნობთ და ვერ დავუშვებდით იმ ფაქტს, რომ მის აწმყოში შენნაირი არსებები ბინადრობენ. შენი ტანკის გუშინდელმა ერთსაათიანმა გაუჩინერებამ კი გვაფიქრებინა, რომ შენ ამ ფანდს ერთხელაც მიმართავდი და არც შევმცდარვართ; ასე რომ, აქ პატარა ხაფანგი დაგახვედრეთ, რადგან გვჯეროდა, რომ შენ მასში მოსახვედრად ჭკუა გეყოფოდა. მე ჯერ არ გადაგხერხავ იმიტომ, რომ მინდა როული და ფრიტადიც დატკბნენ შენი ხილვით. მერე კი შენც და ამ ორ ბავშვსაც მოგხსობთ... ისინი ჩვენ აღარ გვჭირდება.

კარპენტერს სხეული გაეყინა; ჰოლმერის წმინდა ლოგიკურ განსჯაში ძალზედ კარგად იკვეთებოდა ჩვეულებრივი შურისძიება. „არაფერია — გაიფიქრა კარპენტერმა — ლოგიკური მსჯელობა ჩვენც შეგვიძლია“.

— შენი მეგობრები მალე დაბრუნდებიან? — იკითხა დედამიწელმა. ჰოლმერმა მას გაუგებარი მზერა შეაგება და კარპენტერმა ახლაღა შენიშნა, რომ მარსიანელს სათარგმნელი მძივი არ ჰქონდა ყურში გარჭობილი. კარპენტერმა ისარგებლა ამით და მარსას ჰკითხა:

— მითხარი, პაწაწავ, ეს ხომალდი გვერდზე რომ დაეცეს, აფეთქება ხომ არ ემუქრება მას? მიპასუხე მხოლოდ „ჰო“ ან „არა“, რათა ამ ყაჩაღმა არაფერი გაიგოს...

— არა, მისტერ კარპენტერ...

— ხომალდის კონსტრუქცია საკმარისად მყარი თუა?

— დიახ, მისტერ კარპენტერ..

— აპარატურაც, ალბათ, კარგადაა დამაგრებული და ზედ არ დაგვეცემა...

— დიახ, მისტერ კარპენტერ..

— რაკი ასეა, შენ და სკიპი იმ ცენტრალურ სვეტთან მიდით და ხომალდის ვარდნისას მაგრად ჩაეჭიდეთ მას...

— რას გეუბნება ეს დედამიწელი? — დაიღრიალა ჰოლმერმა და მას მარსამ პასუხად ენა გამოუყო. როგორც ჩანს, დესენტიმენტალიზირებულმა მარსიანელმა უცებ ვერ გაიაზრა ამ ჟესტით მიყენებული წყენა, იმას კი მიხვდა, რომ იქ მყოფთაგან მხოლოდ მას არ ეკეთა სათარგმნელი მძივი და ამიტომაც არაფერი ესმოდა. ჰოლმერი ცალი ხელით თავის ჩანთაში ჩაძვრა მძივის მოსაძებნად, მეორეთი კი კარპენტერის შუბლს იარაღს უშვერდა და ამასობაში დედამიწელმა თითზე წამოცმულ სამართავ ბეჭედზე მოძებნა შესაბამისი ღილაკი, რითაც ბრძანება გადასცა სემს, რომ ხომალდს ისეთ მანძილზე მიახლოებოდა, რომელიც ტელეპათიური კონტაქტის დამყარების საშუალებას შექმნიდა. ასეც მოხდა, სემი ხომალდს მიუახლოვდა და კარპენტერის მითითება მიიღო:

— სემ, შენი კაბინის გარშემო დამცავი ველი შექმენი, მერე მთელი ძალით გამოქანდი, ეს ხომალდი გადააყირავე და გაიქეცი უსაფრთხო ადგილას!

სემი ტევრიდან გამოვიდა, მარსიანელთა ხომალდისაკენ დარჩენილი ასიოდე მეტრი დიდი სისწრაფით გამოიარა, ამასობაში კი ჰოლმერს სათარგმნელი მძივის გაკეთებაც მოესწრო და გარედან უცნაური გრუხუნიც შემოესმა, იგი ილუმინატორთან მივიდა და შენიშნა ტარანისებრად მათკენ მომქროლავი სემი; დიდი ჭკუა არ სჭირდებოდა იმის გამოთვლას, თუ რამდენ ხანში მოხდებოდა შეჯახება და მარსიანელმა უმალ გამოაღო ილუმინატორი, გადაიხარა და იარაღი სემისაკენ მიმართა, მაგრამ ეს ყველაფერი დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგან სემი მთელი ძალით ეძგერა მარსიანელთა ხომალდის ქვედა საფეხურს და ჰოლმერი ტყვიასავით გავარდა ღია ილუმინატორიდან. ბავშვები საყრდენ ბოძს იყვნენ ჩაჭიდებულნი, კარპენტერმა გაამხნევა ისინი — გამაგრდით, ბავშვებო! — და აპარატურას ჩამოეკიდა... ხომალდი მთელი ძალით დაენარცხა დედამიწაზე, „ბუ-უ-უ-უ-მ!“ გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი, ირგვლივ წყვდიადი გამეფდა და მთელ შემოგარენში ყოველგვარი ცოცხალი არსება კუდამოძუებული გაქცევით შველოდა თავს.

მცირე ხანში კარპენტერი გონს მოეგო და სადღაც მისი სახესთან ცაში გამოკიდული პატარა მთვარისებრი სახე დაინახა, ეს მარსა იყო, რომელიც შუბლს უზელდა და ცხარე ცრემლით ტიროდა; კარპენტერმა გაუღიმა გოგონას, ძლივს წამოდგა ფეხზე, მიმოიხედა და სანამ გაიაზრებდა იმას, რომ ახლა ისინი, ვერტიკალურ კი არა, ჰორიზონტალურად განლაგებულ ხომალდში იყვნენ, გაოცებული შესცქეროდა ყველაფერს. მალე სკიპიც გამოჩნდა, მას ხელში მცირე ზომის კონტეინერი ეჭირა. ცოცხალი კარპენტერის დანახვაზე სკიპს სახე გაებადრა:

— ეს მასტაბილიზირებელი გაზის კონტეინერია, მაგრამ, მგონი, აღარ გვჭირდებათ... ჩვენ გვეგონა, რომ თვალს ვეღარ გაახელდით...

— გადავრჩით! — თქვა გრუხუნისაგან ჯერაც სმენადახშულმა კარპენტერმა, მერე თავს ზემოთ განლაგებული ილუმინატორისაკენ აცოცდა და გარემოს თვალი მიმოავლო. სემი არსად ჩანდა, მაგრამ კარპენტერს გაახსენდა, რომ ტელეპათიური კონტაქტის არხი ჯერ ისევ მოქმედებდა და ბრძანება გადასცა თავის ტრიცერატანკს, რომ დაბრუნებულიყო. მერე ამოძვრა ილუმინატორიდან დაეშვა დედამიწაზე და ჰოლმერის გვამის ძებნა დაიწყო. მაგრამ ძებნას არავითარი შედეგი არ გამოუღია, კარპენტერმა იფიქრა — ეგებ ცოცხალი გადარჩა მარსიანელი და ტყეში იმალებაო — მაგრამ უცებ საფლავისებრ ბორცვს შეავლო თვალი და ყველაფერს მიხვდა — ჰოლმერი ისეთი საშინელი ძალით გამოიტყორცნა ხომალდიდან, რომ მის ხელთ არსებული მარსიანული იარაღი დედამიწასთან შეჯახებისას აფეთქდა და პატრონთან ერთად ჩაიმარხა... და სწორედ ახლა მიხვდა კარპენტერი, რომ ის ანაქრონული სხეული, რომელიც 22-ე საუკუნის დედამიწელებმა მეზოზოურ ფენებში აღმოაჩინეს და რომლის ვინაობის დასადგენადაც კარპენტერი დროში გადმოისროლეს, მარსიანელ ჰოლმერს ეკუთვნოდა... ამასობაში სემიც გამოჩნდა. მის შუბლს ხომალდთან შეჯახების არანაირი ნაკვალევი არ ეტყობოდა, კარპენტერმა მზრუნველად გადაუსვა მას ხელი, მერე ტელეპათიური კავშირი გამოთიშა და ძირს დავარდნილ ხომალდთან დაბრუნდა. ბავშვებს ილუმინატორიდან თავი ამოეყოთ და ცას შესცქეროდნენ, კარპენტერმაც აიხედა მაღლა და სამი შავი წერტილი დაინახა. იგი უმალ მოეგო გონს, რომ ეს პტერანოდონები იყვნენ, ბავშვებს დაუყვირა — გაიქეცით სემთან! — და თავადაც სემისაკენ გაეშურა, მაგრამ, მიუხედავად თავის გრძელი ფეხებისა, ბავშვებს მაინც ვერ ეწეოდა; ბავშვები უკვე პალეონტომავალთან იყვნენ და კაბინის ლუკის ახდაც მოესწროთ, კარპენტერს კი ნახევარი გზაც არ ჰქონდა გადარბენილი. პტერანოდონები უკვე ისე ახლოს იყვნენ, რომ დედამიწას უკვე მათი ჩრდილები გარკვევით ეცემოდა, კარპენტერმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალა, მაგრამ უცებ ვეებერთელა კუს დაადგა ფეხი, რომელიც ასევე საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავდა, და დაბლა დაეცა; მარსამ და სკიპმა კი კაბინის სარქველის დახურვა მოასწრეს, განვლო რაღაც ხუთიოდე წამმა და კარპენტერი შემზარავმა ფაქტმა შეაძრწუნა — სემი სადღაც გაქრა... იმავ წამს მის გვერდით უზარმაზარი ჩრდილი დაეფინა, რომელიც ნამდვილად ვერ იქნებოდა პტერანოდონი, კარპენტერმა მაღლა აიხედა და ცაში უზარმაზარი კოსმოსური ხომალდი შენიშნა, რომელიც დედამიწისაკენ მდორედ ეშვებოდა. უცებ ამ ხომალდს სამი სხივისებრი მასა გამოეყო — პფფფფფფტ! პფფფფფფფფტ! — გაისმა შიშინისმაგვარი უცნაური ხმები და სამივე პტერანოდონი ცაში აორთქლდა... კოსმიური ხომალდი მიწაზე დაეშვა, გაიღო მისი მთავარი კარი და დაბლა მეხუთე ავენიუს სიგანის ტრაპი გადმოეშვა, რომელზედაც არადედამიწელი არსება გამოჩნდა; კარპენტერმა ისევ მარჯვნივ მიიხედა და შენიშნა, რომ სემი კვლავ თავის ადგილზე იდგა, საიდანაც მოცისფრო ალში გახვეული მარსა და სკიპი ამოდიოდნენ. კარპენტერი ყველაფერს მიხვდა... მიხვდა იმასაც, რომ 22-ე საუკუნეს სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა.

ბავშვებმა მაშინ მიირბინეს კარპენტერთან, როცა მეწამულ სამოსში გამოწყობილი, ორი მეტრის სიმაღლის ექვსი მარსიანელი კოსმოსური ხომალდიდან ეშვებოდა. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც, ალბათ, მათი მეთაური იყო, ხელში რაღაც ჯადოსნური ჯოხის მაგვარი საგანი ეჭირა. მან არამეგობრული მზერა მოავლო კარპენტერსა და ბავშვებს და მიუახლოვდა მათ. ბავშვები კარპენტერს ფეხზე წამოდგომაში მიეხმარნენ, იგი იმდენად ფიზიკურ სისუსტეს არ გრძნობდა, რამდენადაც გაოცებული იყო მომხდარით და საკუტარ აზრებში ვერ გარკვეულიყო.

მარსა ტიროდა:

— გვაპატიეთ, მისტერ კარპენტერ, ჩვენ თქვენი გადარჩენა გვინდოდა და სემი გავაფუჭეთ, გვაპატიეთ... თქვენს გადასარჩენად ერთადერთი საშველი იყო — ჩვენ წარსულ დროში უნდა გადავსულიყავით ოთხი დღისა და ორი საათის წინ, შევპარულიყავით ყაჩაღების ხომალდში და იქიდან კოსმოსური პოლიციისათვის რადიოგრამა გაგვეგზავნა, რომ აწმყოს ამ წამისათვის მათ აქ ჩამოსვლა მოეწროთ, მაგრამ სემის დროის ძრავა გაფუჭდა და სკიპი მას სამი დღის განმავლობაში აკეთებდა, მაგრამ ძრავა ისევ გადაიწვა... გვაპატიეთ მისტერ კარპენტერ — ვერ წყნარდებოდა გოგონა — ახლა თქვენ ვეღარასოდეს დაბრუნდებით 2156 წელში და ვეღარ ნახავთ მის სენძს...

კარპენტერმა გოგონას თავზე ხელი გადაუსვა:

— არა უშავს, პაწაწავ, თქვენ სწორად მოიქეცით, მე ვამაყობ თქვენი საზრიანობით; განა ეს საოცარი არ არის, რომ ორ წამში თქვენ ამდენი გათვლის ჩატარება მოასწარით?!

— მე... მე.... მე ხომ კარგად ვთვლი, მისტერ კარპენტერ — თქვა მარსამ და ცრემლებს მიღმა ღიმილმა გაიელვა. ამასობაში კი გოლიათ მარსიანელს სათარგმნელი მძივის გაკეთება მოესწრო და მათ საუბარს ყურს უგდებდა.

— თქვენც მადლობას მოგახსენებთ — ახლა მარსიანელს მიმართა კარპენტერმა — რომ გადამარჩინეთ და აქვე ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, რომ მეც თქვენთან ერთად წამიყვანოთ მარსზე, ჩემი დროის მანქანა მწყობრიდან გამოვიდა და მის შეკეთებას აქ ვერავინ შეძლებს; ასე რომ, მე არარანაირი საშუალება არ მაქვს, რომ იმ დროს დავუკავშირდე, საიდანაც აქ მოვედი.

— მე გაუტორი მქვია — მხოლოდ ეს უპასუხა მარსიანელმა, მერე მარსას მიუბრუნდა და უბრძანა, რომ მაქსიმალურად მოკლედ მოეთხრო ყველაფერი ის, რაც მათ გადახდათ თავს დედამიწის მეზოზოურ ერაში. მარსამ ბრძანება შეასრულა და ბოლოს დაამატა:

— თქვენ თავად ხედავთ, სერ, რომ ჩვენი გადარჩენისას მისტერ კარპენტერი ძალზედ რთულ სუტუაციაში აღმოჩნდა — მას თავის დროში დაბრუნება აღარ შეუძლია და ვერც აქ დარჩება, ასე რომ, ჩვენ იგი მარსზე უნდა წავიყვანოთ.

გაუტორმა არაფერი უპასუხა. მან მხოლოდ მაღლა აღმართა თავისი ჯადოსნური ჯოხი, გაიშვირა ძირს დაცემული ხომალდისაკენ და იმავ წამს ამ ხომალდსაც ის ბედი ეწია, რაც პტერანოდონებს, ხომალდი სივრცეში აორთქლდა. მერე გაუტორი თავის ხელქვეითებს მიუბრუნდა და უთხრა:

— წაიყვანეთ ბავშვები და გააკეთეთ ყველაფერი, რაც ინსტრუქციითაა გათვალისწინებული — მერე კარპენტერს მოუბრუნდა — დიდი მარსის სახელმწიფო და ხელისუფლება მადლობას მოგახსენებთ იმ ორი ბავშვის გადარჩენაში, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მომავალს დაუფასებელ სამსახურს გაუწევენ. ახლა კი მშვიდობით, მისტერ კარპენტერ — თქვა გაუტორმა და კოსმოსური ხომალდისაკენ გაეშურა. მარსა და სკიპი მისცვივდნენ მას ძახილით - თქვენ აქ არ უნდა დატოვოთ კარპენტერი, ის აქ დაიღუპებაო! — მაგრამ პოლიციელებმა ბავშვები ხელში აიყვანეს და ხომალდისაკენ წაიღნენ.

— შეჩერდით! — ამჯერად მათ კარპენტერმა გასძახა, რომელიც საქმის ვითარების ასეთი ცვლილებით გოგნებული კი იყო, მაგრამ სულიერი მხნეობა მაინც შემორჩენოდა — მე არ გემუდარებით, გადამარჩინეთ-მეთქი, მაგრამ თუ თქვენს საზოგადოებაში მიმიღებთ, რაღაც სარგებელის მოტანა მეც შემიძლია! მე შემიძლია, მაგალითად, თქვენ დროში მოგზაურობა გასწავლოთ, შემიძლია...

— მისტერ კარპენტერ, ჩვენ დროში მოგზაურობა რომ გვდომოდა, დიდი ხნის წინ ვისწავლიდით ამას — უპასუხა გაუტორმა — დროში მოგზაურობა სულელების საქმეა. წარსული უკვე მომხდარია და მისი შეცვლა შეუძლებელია. განა ღირს საამისოდ დროის კარგვა? რაც შეეხება მომავალს, იდიოტი უნდა იყო, რომ ცდილობდე მოსახდენის წინასწარ გაგებას.

— კარგით — სიტყვა შეაწყვეტინა კარპენტერმა — მე თქვენს ტექნიკურ ცხოვრებაში არ ჩავერევი, ენას კბილს დავაჭერ და ვიცხოვრებ, წყნარი, მარსიანული ცხოვრებით.

— არა, მისტერ კარპენტერ, თქვენც მშვენივრად იცით, რომ საიდუმლოს ვერ შეინახავთ, რადგან დესენტიმენტალიზირებული არ ხართ, თქვენი სახის გამომეტყველებიდან კი ვხედავ, რომ არც არასოდეს მოისურვებთ გრძნობათაგან გათავისუფლებას. სჯობს თქვენ თქვენსავე ისტორიულ წარსულში დარჩეთ და აქ დაიღუპოთ!

— ასე ვიზამ! — კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა კარპენტერმა — მე ვხედავ, რომ თვით ტირანოზავრები და ბრონტოზავრებიც კი უფრო მგრძნობიარენი არიან თქვენთან შედარებით, მაგრამ, მე მგონი, არის სხვა საკითხი, რომელზედაც თქვენ, დესენტიმენტალიზირებული ბუნების მიუხედავად, მაინც უარს ვერ მეტყვით — ხომ ვერ მომცემდით რაიმე იარაღს იმის ნაცვლად, რაც ჰოლმერმა გამინადგურა?

გაუტორმა თავი გააქნია: — სწორედ ამის გაკეთება არ შემიძლია, მისტერ კარპენტერ — იმიტომ, რომ ჩემს მოცემულ იარაღს თქვენს ნეშტთან ერთად მომავალში აღმოაჩენენ და მე ისტორიული ანაქრონიზმის პასუხისმგებლობა დამეკისრება. ერთი ასეთი ანაქრონიზმი კი ჩემს სინდისს უკვე აწევს, ეს ჰოლმერის ნეშტია, რომლის მოძებნა ჩვენ ვერ შევძელით, ალბათ, მიმიხვდით, რომ ყაჩაღების ხომალდიც სწორედ ამიტომ მოვსპე...

— მისტერ კარპენტერ — დაიყვირა სკიპმა, რომელსაც პოლიციელები კოსმოსური ხომალდის ტრაპზე დასთან ერთად მიათრევდნენ — ეგებ სემს კიდევ რამე ეშველოს, ეგებ ის მაინც მოახერხოთ, რომ კურდღლის კონსერვი გადააგზავნოთ დროში ხიფათის ნიშნად?

— არა, ეს შეუძლებელია — დაუყვირა კარპენტერმა — ნუ ნაღვლობთ, ბავშვებო, მე როგორმე გავიტან თავს. ცხოველებს მე ყოველთვის ვუყვარდი, ეს დინოზავრები კი მხოლოდ ცხოველები არიან და სხვა არაფერი...

— მისტერ კარპენტერ — ამჯერად მარსა აყვირდა — რატომ არ წაგვიყვანეთ თქვენი დედამიწის 22-ე საუკუნეში, ჩვენ ეს ძალიან გვინდოდა, მაგრამ ვერ გაგიბედეთ...

— მართალია, იქ უნდა წავსულიყავით, პაწაწავ, იქ! — ამის თქმაღა მოასწრო კარპენტერმა და პოლიციელები ბავშვებთან ერთად ხომალდში გაუჩინარდნენ — მშვიდობით, ბავშვებო, მშვიდობით, მე თქვენ ვეღარასოდეს გნახავთ!

— მე თქვენ მიყვარხართ, მისტერ კარპენტერ! — ეს მარსას სასოწარკვეთილი ძახილი იყო, რომელიც სადღაც შორეთიდან ისმოდა. გაუტორმა კი უცებ კარპენტერს ყურიდან სათარგმნელი მძივი გამოაცალა და სხვებთან ერთად ხომალდში გაუჩინარდა.

„ესეც შენ დახმარება!“ — გაიფიქრა კარპენტერმა, როცა ხომალდი შეზანზარდა, ცაში აიჭრა და მცირე ხნის ფარფატის შემდეგ სივრცეში გაუჩინარდა.

— ბედნიერებას გისურვებთ! — თავისთვის ჩაილაპარაკა კარპენტერმა — ...და იმასაც გისურვებთ, რომ ამ ურჩხულებმა თქვენ გულები არ წაგართვან, თქვენ ხომ ძალიან კეთილი გულები გაქვთ...

— ნახევრად ფიქრში წარმოთქვამდა ამას გოგნებული კარპენტერი... იგი სრულიად მარტო დარჩა მეზოზოურ ხანაში.

უცებ დედამიწა შეზანზარდა. კარპენტერმა მოიხედა და პალმების გვერდით რაღაც დიდი და შავი არსება შენიშნა. ორიოდ წამის შემდეგ მან კარგად დაინახა გიგანტური თავი და მასიური, ზემართული სხეული. ხმალივით წვერწამახულმა კბილების მწრივმა მზეზე გაიელვეს... კარპენტერმა ინსტინქტურად უკან გადადგა ნაბიჯი; მას ტირანოზავრი უახლოვდებოდა.

*დასასრული შემდეგ ნომერში*

*თარგმნა*

*ალექსანდრე ელერდაშვილმა*

## კალენდარი

— 1485 წ. — უნგრეთის მეფე მათიასმა დაიპყრო ვენა და ეს ქალაქი თავისი გაერთიანებული სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა.
— 1792 წ. — კენტუკი გამოცხადდა აშშ-ს მე-15 შტატად.

**დაიბადნენ:**
— 1803 წ. — მიხაილ გლინკა, რუსი კომპოზიტორი.
— 1926 წ. — მერილინ მონრო.

**2 ივნისი**
— იტალიის ეროვნული დღე.
— 1627 წ. — ლორდი ბაკინგემი საკუთარ ფლოტთან ერთად პორტსმუტიდან ლა როშელში ჩავიდა ჰუგენოტების დასახმარებლად.
— 1949 წ. — ტრანსიორდანიას გადერქვა სახელი და ამიერიდან იწოდებოდა იორდანიის ჰაშემიტების სახელმწიფოდ.
— 1953 წ. — ვესტმინისტერის სააბატოში ჩატარდა დედოფალ ელისაბედ II-ის კორონაცია.
— 1989 წ. — პეკინში, ტიან-ან-მენის მოედანზე, ხელისუფლებამ იარაღით ჩაახშო 2000 სტუდენტის მშვიდობიანი პოლიტიკური მანიფესტაცია.

**დაიბადა**
— 1903 წ. — ჯონ ვაისმიულერი, ამერიკელი მოცურავე, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, ტარზანის როლის როლის ერთ-ერთი პირველი შემსრულებელი.

**გარდაიცვალნენ:**
— 1882 წ. — ჯუზეპე გარიბალდი, იტალიის ეროვნული გმირი.
— 1886 წ. — ალექსანდრ ოსტროვსკი, რუსი დრამატურგი.
— 1987 წ. — ანდრეას სეგოვია, ესპანელი ვირტუოზი-გიტარისტი.
— 1990 წ. — რექს ჰარისონი, ინგლისელი მსახიობი (ჰენრი ჰიგინსი — „პიგმალიონიდან“)

**3 ივნისი**
— 1942 წ. — წყნარ ოკეანეში, მიდვეის სიახლოვეს გაიმართა საზღვაო ბრძოლა აშშ-სა და იაპონიის სამხედრო ფლოტებს შორის.
— 1959 წ. — სინგაპურს მიენიჭა ნახევრადსახელმწიფოებრივი სტატუსი.

**გარდაიცვალნენ:**
— 1875 წ. — ჟორჟ ბიზე, ფრანგი კომპოზიტორი.
— 1899 წ. — იოჰან შტრაუსი, ავსტრიელი კომპოზიტორი.
— 1924 წ. — ფრანც კაფკა, ავსტრიელი მწერალი.

**4 ივნისი**
— 1956 წ — ეგვიპტემ გამოაცხადა, რომ სუეცის არხის მშენებლობის კომპანიას აღარ გაუგრძელებდა ხელშეკრულებას მისი მშენებლობის დამთავრების შემდეგ.
— 1959 წ. — კუბაში აშშ-ს კუთვნილი შაქრის ლერწმის პლანტაციების ექსპროპრიაცია მოახდინეს.

**დაიბადა**
— 1811 წ. — ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ, ამერიკელი მწერალი.

**გარდაიცვალა**
— 1798 წ. — ჯოვანი კაზანოვა, იტალიელი ავანტურისტი.

**5 ივნისი**
— დანიის ეროვნული დღე.
— 1967 წ. — დაიწყო ექვსდღიანი ომი ისრაელსა და არაბულ შენაერთებს შორის.
— 1968 წ. — ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ სასტუმროში მოკლეს რობერტ კენედი.

**დაიბადა:**
— 1883 წ. — ფრანც კაფკა, ავსტრიელი მწერალი.

**6 ივნისი**
— შვედეთის ეროვნული დღე.
— 1797 წ. — ნაპოლეონ ბონაპარტემ გენუაში შექმნა ლიგურიის რესპუბლიკა.
— 1844 წ. — დიდ ბრიტანეთში დაკანონდა 12 საათიანი სამუშაო დღე.

**დაიბადნენ:**
— 1599 წ. — დიეგო ველასკესი, ესპანელი ფერმწერი.
— 1606 წ. — პიერ კორნელი, ფრანგი დრამატურგი.
— 1799 წ. — ალექსანდრ პუშკინი.
— 1875 წ. — თომას მანი, გერმანელი მწერალი.
— 1956 წ. — ბიორნ ბორგი, ყველა დროის უდიდესი ჩოგბურთელი.

**7 ივნისი**
— 1494 წ. — პორტუგალიამ და ესპანეთმა დადეს ხელშეკრულება მსოფლიოს ურთიერთშორის დანაწილების შესახებ.

**დაიბადა**
— 1848 წ. — პოლ გოგენი, ფრანგი მხატვარი.

**გარდაიცვალნენ:**
— 1967 წ. — დოროთი პარკერი, ამერიკელი მწერალი.
— 1980 წ. — ჰენრი მილერი, ამერიკელი მწერალი-ნოველისტი.

## კროს-ჩემპიონატი

| № | ცხრა ტურის შედეგ | 6 | 7 | 8 | 9 | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სესიტაშვილი ზურა | - | 100 | 98 | 98 | 4 | 102,71 |
| 2 | კუსრაძე ლიანა | 100 | 100 | 99 | 100 | 2 | 101,67 |
| 3 | ხაჩირაშვილი მარინე | - | 99 | 100 | 99 | 2 | 101,57 |
| 4 | საზანდრიშვილი ნათია | 97 | 100 | 98 | 99 | 2 | 100,86 |
| 5 | გაბრიელიძე იური | 100 | 100 | 99 | 100 | - | 99,63 |
| 6 | ჩაჩანიძე ქეთევანი | 100 | 100 | - | 95 | - | 98,5 |
| 7 | გეგია მაია | 98 | 100 | - | 95 | - | 98,2 |
| 8 | კვირიკაშვილი მერაბი | 100 | 98 | - | - | - | 98 |
| 9 | ბუძღულაშვილი მანანა | 94 | 99 | - | 99 | - | 97.75 |
| 10 | დანელია ლევანი | 95 | - | 90 | 96 | 2 | 96,5 |
| 11 | ჯღამაძე ნუნუკა | 94 | - | 90 | 96 | - | 94,33 |

### მეცხრე ტურის პასუხები

1. პოლუგაევსკი. 2. ადგილი. 3. მზვერავი. 4. ვასილი. 5. უიტ(თ)ნი ჰიუსტონი. 6. ბისკვიტი. 7. შეხამება (შეზავება). 8. ჰელიკოპტერი. 9. მიშულინი (ნიკულინი არ ღაითვლება, რადგან იგი თეატრის მსახიობი არ გახლდათ). 10. ბესტსელერი. 11. სტანიოლი. 12. კრავეიშვილი. 13. გორდეზიანი. 14. იმერელი. 15. ენტერი. 16. გუმილევი. 17. ნაკიანი. 18. უსტინოვი. 19. პატიმარი. 20. ჰაინე. 21. ოში. 22. ეროზია. 23. ავტორიტეტული. 24. ორპირობა. 25. ებერშტი. 26. ანტეი. 27. ელიავა. 28. სკუპი. 29. მესტია. 30. ანბანური. 31. (თარ.) მარჯანიშვილი – (შვ.) მარიონეტი. 32. ასტრიდ. 33. ვარდენი. 34. ლიუბოევიჩი. 35. არლი. 36. შინაბერა. 37. სტოპერი. 38. პაპანოვი. 39. კლაიპედა. 40. კორლეონე. 41. პლომბი. 42. გლებ. 43 ბაია. 44. ანტონოვი. 45. პრესლი. 46. ჰიმლერი (ჩავთვალეთ მიულერიც, ჯანდაბას იმის თავი). 47. ძინ. 48. ჩეჩქვი (ჩეჩქი). 49. ქადა. 50. რჩეული. 51. ანგიომა. 52. პიგალი. 53. ყველას ჩაეთვალა. 54. მერი შილდელი. 55. გიბონი (ყველას ჩაეთვალა). 56. ვარძია. 57. რახტი. 58. მჟაუნა. 59. ფაცაცია. 60. დრაჟე. 61. დენდი (ყველას ჩაეთვალა). 62. შხეფი. 63. ფელონ. 64. დიელო. 65. კურსი. 66. გოლდა. 67. ობლიგაცია. 68. ბალბა. 69. ათონი. 70. ბურუნდი. 71. დაირა. 72. ბორიალი (ჩაითვლება მისი მსგავსი სიტყვებიც – ხოხიალი და ა.შ.) 73. მტლე. 74. ოდრი. 75. ალბანო. 76. ამუ დარია. 77. ლიტბარსკი. 78. დუდუხანა. 79. ხაზანოვი. 80. ცაბუნია. 81. ბელგა. 82. გეენია. 83. მანია. 84. ოზონი. 85. ნათანი. 86. ისკრა. 87. ქიქკა. 88. ჯიზია. 89. ზღვარი. 90. ღარი. 91. იო(უ)კო. 92. სოლჟენიცინი. 93. ლენა. 94. იალა. 95. ისევ. 96. იანეთი. 97. პრეისკურანტი. 98. კოლხეთი. 99. ვენა.

# სარგებლობთ თუ არა ავტორიტეტით კოლეგებს შორის?

*თუ თქვენ ადამიანების გარკვეული ჯგუფის ხელმძღვანელი ბრძანდებით, ალბათ, არ უნდა იყოს უმნიშვნელო ის საკითხი, გაგაჩნიათ თუ არა ავტორიტეტი თანამოსაქმეებს შორის. არც იმის გარკვევა იქნება ურიგო, საერთოდ შეგიძლიათ თუ არა ადამიანებს უხელმძღვანელოთ; მაშ, მოცემული სამ-სამი ვარიანტიდან შეარჩიეთ ერთი და შემდეგ დააჯამეთ ქულები.*

**1** *დარწმუნებული ხართ, რომ სწორად აფასებთ თქვენი თანამშრომლების დამოკიდებულებას თქვენს მიმართ?*
ა. სრულიად არ ვარ დარწმუნებული
ბ. ძნელი სათქმელია.
გ. რა თქმა უნდა!

**2** *რით უნდა ხელმძღვანელობდეს შეფი მისდამი დაქვემდებარებული საწარმოს ეფექტურობის გაზრდისათვის?*
ა. ფინანსური შემოსავლის ზრდით
ბ. სამართლიანობის პრინციპით
გ. გააჩნია კონკრეტულ ვითარებას

**3** *დარწმუნებული ხართ თუ არა იმაში, რომ საქმის უკეთ წარსამართავად ყველა ღონეს ხმარობთ?*
ა. ამაში ორი აზრი არ არსებობს
ბ. ეს ყოველთვის არ ხერხდება
გ. ყველაფერი ჩემზე როდია დამოკიდებული.

**4** *ითვალისწინებთ თუ არა კოლეგების მიერ წარმოთქმულ რჩევასა და კრიტიკას თქვენს მიმართ?*
ა. ვითვალისწინებ... იშვიათად!
ბ. ვამჯობინებ ყველაფერი თავად მოვისაზრო
გ. ვითვალისწინებ და თანაც დიდი ყურადღებით.

**5** *გაგაჩნიათ თუ არა ინტუიცია კოლექტივში მიმდინარე პროცესების ამოსაცნობად?*
ა. არ მგონია, ასეთი რამ გამაჩნდეს
ბ. გარკვეულწილად გამაჩნია
გ. ეს ინტუიცია ძალზედ მეხმარება მუშაობაში.

**6** *თუ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ მკაცრად დასაჯოთ ვინმე, აუცილებლად ასრულებთ თუ არა განზრახვას?*
ა. რა თქმა უნდა, ვასრულებ.
ბ. არა... გადავიფიქრებ ხოლმე
გ. გააჩნია ვითარებას და განწყობას.

**7** *თქვენის აზრით, რა არის უფრო ხშირად მიზეზი თქვენი კოლექტივის კონფლიქტებისა?*
ა. თანამშრომლების შუღლი
ბ. გარემოებათა თანხვედრა
გ. ჩემი არაკორექტულობა.

**8** *უნდა გამოააშკარაოს თუ არა ხელმძღვანელმა თავისი ნაკლი ხელქვეითთა წინაშე?*
ა. რა თქმა უნდა, ისიც ხომ ადამიანია
ბ. არავითარ შემთხვევაში
გ. არ ვიცი... ვერ გეტყვით.

**9** *მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი ბრძანებები უსიტყვოდ უნდა შესრულდეს?*
ა. ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, რომ ასე იყოს.
ბ. არ მიმაჩნია... სიტუაცია ხომ ხშირად იცვლება
გ. ამას კატეგორიულად მოვითხოვ

**10** *შეგიძლიათ თუ არა ხელქვეითთა წინაშე თქვენი შეცდომა აღიაროთ?*
ა. რას იზამ... ხდება ხოლმე
ბ. ეს შეუძლებელია!
გ. მე ჩემი შეცდომების აღიარებისა არ მეშინია

## შევაჯამოთ ქულები

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 3 | 3 | 2 | 1 | 3 | 3 | 1 | 2 | 2 |
| ბ | 2 | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | 2 | 3 | 1 | 3 |
| გ | 3 | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | 3 | 1 |

– **1-10** ქულა: თქვენ ბუნებით ორჭოფი პიროვნება ხართ. ალბათ, ამიტომაც ზედმეტად გაშინებთ თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა. ეცადეთ მეტად მიენდოთ საკუთარ თავს, რადგან ის, ვისაც მკვეთრად გამოხატული პოზიცია არ გააჩნია ვერასოდეს მოიპოვებს ავტორიტეტს და, მით უმეტეს, პატივისცემას კოლეგათა შორის.

– **11-22** ქულა – თქვენ ახერხებთ საკუთარი სიტყვის გაყვანას. თქვენ კრიტიკასაც მშვიდად აღიქვამთ და სათანადო დასკვნებიც გამოგაქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ ყოველთვის ასე არ ხდება. თქვენ ხასიათის მეტი სიმტკიცე გმართებთ, სრულფასოვანი ავტორიტეტის მოსაპოვებლად.

– **23-30** ქულა: თქვენ, როგორც ჩანს დამოუკიდებელი და, პრინციპული პიროვნება ხართ. ვერ ეგუებით ვერანაირ კრიტიკას, მაშინაც კი, როცა იცით, რომ ეს სამართლიანია. თქვენ დიდი ავტორიტეტი გაგაჩნიათ, მაგრამ ხშირად ეს დიქტატორობაში იზრდება. ასე რომ, ფრთხილად იყავით....

# კინოფანტაზია

## მთავარ როლში ენტონი კუინი





3



8



**თარაზულად**: 8. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ენტონი კუინის პერსონაჟი ამ ფილმში. 9. როგორი სამსახიობო ოსტატობა აქვს ჩვენს მთავარ გმირს? (ქართ. სიტყვა) 10. კოსმიური ცნება. 13. გაიხსენეთ ქვეყანა, სადაც ჩვენი გმირი დაიბადა. 14. ირონიულობის უკიდურესი ფორმა. 16. პოლონელი კათოლიკე მღვდელი. 17. XIX ს. მწერალი, რომლის ერთი პერსონაჟი დიდებულად განასახიერა ენტონი კუინმა. 18. სამხედრო წოდება. 19. ადამიანის სხეულის მწყობრიდან გამოსვლა. 20. ჩვენი გმირის მსგავსი რუსი მსახიობი. 23. დროებითა სათანამშრომლო ორგანო. 25. განზოგადებული აღქმაყოფობის სახესხვაობა. 27. გენიალური ფრანგი მომღერალი ქალი. 31. ჩვენი მთავარი გმირის ქართველი კოლეგა, მასავით ზვიადი და დიდებული. 32. აშშ-ს შტატი. 33. პერსონაჟი რომანისა „ქარწაღებულნი“. 34. მტაცებელი ფრინველი. 35. ფილოსოფიური მიმდინარეობა. 38. სახელი პოპულარული ამერიკელი მომღერალი შავკანიანი ქალისა. 39. მწარე საკმაზი. 41. ენტონი კუინის იტალიელი პარტნიორი ერთ პოპულარულ ფილმში. 43. ამა თუ იმ მოძღვრების თავგამოდებული მიმდევარი. 44. სიტყვა „ბლეფის“ ერთი ქართული შესატყვისი. 46. თანამედროვე იტალიელი კინორეჟისორი.

**შვეულად**: 1. ენტონი კუინის ერთ-ერთი პერსონაჟი არაბული „წარმოშობის“ ფილმში. 2. აფრიკის ქრისტიანული სახელმწიფოს ერთ-ერთი სახელი. 3. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ამ ფილმის სახელი. 4. როგორი სამსახიობო ოსტატობა აქვს ჩვენს მთავარ გმირს (ლათ. სიტყვა)? 5. ენტონი კუინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟი. 6. ქალაქი თურქეთში. 7. ავტომობილის ნაწილი. 11. იგივეა, რაც შეგუება. 12. სპორტის სახეობა. 15. აშშ-ს შტატი. 21. პარიზის მინდვრების „პატრონი“. 22. ჩვენი მთავარი გმირის იტალიელი პარტნიორი ქალი ერთ ცნობილ ფილმში. 24. იგივეა, რაც მინანქარი. 26. თარ. № 38-ის მსგავსად თავის ქვეყანაში პოპულარული რუსი მომღერალი, უფრო სწორად მისი სახელი. 28. რეჟისორი №3 ფოტოზე ნაჩვენები ფილმისა. 29. იაპონური არაყი. 30. ჩვენი მთავარი გმირის იტალიელი პარტნიორი ქალი №3 ფოტოზე ნაჩვენებ ფილმში. 36. თარ. № 38-ის მსგავსად თავის ქვეყანაში პოპულარული არგენტინელი მომღერალი ქალი, უფრო სწორად მისი სახელი. 37. ქართული ჰაგიოგრაფიის რომანული ეპიზოდის უნებლიე მონაწილე პერსონაჟი. 38. დევნილი საბჭოელი კომუნისტი, რომელიც ენტონი კუინის სამშობლოში მოკლეს. 40. იზოლირებული სივრცე ტრანსპორტში. 41. ლათ. ამერიკის სახელმწიფო. 42. „პროგრესისაკენ“ მომწოდებელი ზმნიზედა. 43. თარ. № 38-ის მსგავსად ერთობ პოპულარული ამერიკელი ჯაზის მომღერალი, უფრო სწორად მისი სახელი.

# კინომიმოთქმანი

## ბარბრა სტრეიზანდი



შარშანდელი ივნისის „ფანტაზიის“ ერთ-ერთ ნომერში ჩვენ ვრცლად წარმოვადგინეთ ბარბრა სტრეიზანდის ცხოვრებაც და სატრფიალო ამბებიც და აი, ახლა ერთი წლის შემდეგ კვლავ ვიხსენებთ ამ 56 წლის უნიჭიერეს მსახიობსა და მომღერალს და ისევ და ისევ „ამურის“ ოინბაზობით გამოწვეული ფაქტისა გამო. ახლახანს ცნობილი გახდა, რომ დიდებულმა ბარბრამ მორიგი საქორწინო უღელი დაიდგა; მან თავის რჩეულ ჯეიმს ბროულინთან ერთად დახურულ კარს მიღმა საქორწინო რიტუალი ჩაატარა და ეს პროცესი კინოფირზე აღბეჭდა.

ამ უნიკალური მოვლენის ვიდეოჩანაწერი მათ მხოლოდ ნათესავებსა და ახლობლებს გაუგზავნეს, რომელნიც ასევე მოკლებულნი იყვნენ ბედნიერი წყვილის დაქორწინების ხილვას. ამბობენ, რომ ამგვარი რიტუალი დანახარჯის მინიმუმადე დაყვანის სურვილით იყოო გამოწვეული.

## ალ პაჩინო



ალ პაჩინომ ახლახანს დაასრულა ფილმ „ეშმაკის ადვოკატში“ გადაღება. მსახიობი ამ ფილმში მონაწილეობაზე ძნელად დაითანხმეს, რადგან მას მკაცრი კათოლიკური აღზრდა აქვს მიღებული და ეშმაკის არსებობას არ სცნობს. ასეა თუ ისე, ალ პაჩინომ შესანიშნავად შეასრულა ეშმაკის როლი და ეს პერსონაჟი ერთგვარი თანამედროვე შარმითაც კი აღჭურვა. მსახიობის თქმით, ყველაზე ძლიერი ეშმაკეული თვისება ისაა, რომ არ განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი ადამიანებისაგან და ამით დაარწმუნოს ისინი მის არარსებობაში.

## ჯუდი ფოსტერი



ჰოლივუდის ერთ-ერთმა უმშვენიერესმა ვარსკვლავმა ჯუდი ფოსტერმა ბოლოსდაბოლოს დაადასტურა, რომ ჭორები მისი ფეხმძიმობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. საოცარი ამაში არაფერია, თუ არა ის ფაქტი, რომ მსახიობმა მომავალი ბავშვის მამის ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ჯუდის ოდნავი შეშფოთებაც არ გამოუთქვამს იმისა გამო, რომ ბავშვის აღზრდა მარტო მოუწევს და არც ის ანაღვლებს – ვაჟი შეეძინება თუ ქალიშვილი. მან საკუთარი ბედი, ასე ვთქვათ, განგებას მიანდო...

## კეიტ უინსლეტი



„ტიტანიკში“ მოპოვებული წარმატების შემდეგ 22 წლის კეიტ უინსლეტი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ამ ფილმის გადაღების შემდეგ კეიტმა განაცხადა, რომ ლეონარდო დი კაპრიოსთან ერთად გადაღებებში მონაწილეობა ძალზედ საინტერესო იყო, მაგრამ ერთადერთი, რამაც მასში ცუდი მოგონება დატოვა, ეს ლეონარდოსთან ჩატარებული სასიყვარულო სცენები იყო.

„ოსკარის“ მიღების შემდეგ კეიტმა საზოგადოებას წარუდგინა თავისი ახალი ბოიფრენდი, 24 წლის რეჟისორი ჯიმ ტრეპლტონი; მანამდე კი კეიტმა დიდი სულიერი ტრავმა განიცადა, რადგან მის თვალწინ დაიღუპა ის პირველი ბოიფრენდი, რომელთანაც გოგონას დიდი სიყვარული აკავშირებდა. ასე რომ, კეიტის სატრფიალო თავგადასავლებში არანაირი ადგილი არ აქვს დათმობილი დღევანდელი თინეიჯერების კუმირს, ლეონარდო დი კაპრიოს.

# ოდესელთა იუმორი

გაზეთში განცხადება გამოქვეყნდა, რომ საწყობისათვის გამგე ესაჭიროებოდათ.
მივიდა რუსი, იარა, იარა და თქვა:
– ბევრი სამუშაოა!
მივიდა უკრაინელი, დახედა იქაურობას და თქვა:
– ხელფასი პატარაა!
მივიდა რაბინოვიჩი, მიმოიხედა და თქვა:
– როგორ, ხელფასსაც გადამიხდით?!

❁ ❁ ❁

ოდესელი კვდება და თავთით ცოლი უზის. მომაკვდავი ძლივს ლუღლუღებს:
– არ დაგავიწყდეს – პანაშვიდზე სარაც დაპატიჟე!
– არა, არაფრის დიდებით! დაგავიწყდა, მე მასთან რა ცუდი ურთიერთობა მაქვს?!
– გთხოვ, დაპატიჟო...
– არა, აბრამ, არა, ოღონდ ამას ნუ მთხოვ, არა...
– ეს ხომ ჩემი უკანასკნელი თხოვნაა!
ცოლმა ღრმად ამოიოხრა და თქვა:
– კარგი... დავპატიჟებ, მაგრამ იცოდე, შენი პანაშვიდისაგან არავითარ სიამოვნებას არ მივიღებ.

დედა პატარა ბავშვს ასაფლავებს და დასტირის:
– ...და სთხოვე, შვილო, უფალს, რომ სარა გათხოვდეს... და ისიც სთხოვე, რომ ძია ხაიმი გამოჯანმრთელდეს... რომ ნათანი ჯარში არ წაიყვანონ...
იქვე, მის გვერდით მდგომმა მესაფლავემ ვერ მოითმინა და უთხრა:
– დაგენაცვლე, თუ ამდენი საქმე გაქვთ უფალთან, არ ჯობია თავად ეწვიოთ მას, ამ პატარას შეიძლება რაღაც-რაღაცეები დაავიწყდეს გზაში...

❁ ❁ ❁

ძველი ოდესა.
– ღმერთო ჩემო, ეს ვის ვხედავ, სოლომონ მარკოვიჩ?!
– მე სოლომონ მოისეევიჩი ვარ.
– ოჰ, რას ამბობთ, მე მამათქვენს ბავშვობიდან ვიცნობ – იგი მაღალი, ლამაზი, ხუჭუჭა კაცი იყო...
– არა, დაგენაცვლე, მამაჩემი ჩია და მელოტი კაცია.
– ოოოოო... თქვენ საკუთარ მამას არ იცნობთ?!

# ქერინგთონები დაიხოცნენ... პირებს დარჩათ ქვეყანაო!...

## ანუ მღადადებლური სიბრიყვე

სიბრიყვე ისეთივე ნაკლია, როგორც ნებისმიერი სხვა ფიზიკური სახიჩრობა და მისი გამასხრება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უზნეობაა, მაგრამ, როცა ეს ადამიანური ნაკლი შემზარავობითაც ხასიათდება, მაშინ, ალბათ, უნდა ითქვას ორიოდე „ტკბილი სიტყვა", თუნდაც... კროსვორდისტის მიერ.

ასე მაგალითად:

ერთ მშვენიერ დღეს ორ ისეთ „მშვენიერ" სიბრიყვეს წავაწყდი, რომ იმ დღელამის დარჩენილი მონაკვეთი მეტად „შინაარსიანად" გავატარე, თუ არ ჩავთვლით იმ ყრუ ტკივილს, რატომღაც გულს რომ მიღრღნიდა. ჰოდა, იმას ვამბობდი:

ვზივარ ერთი იმ ჩინოსანი პირის მისაღებში, რომლის დაქვემდებარებულ უწყებას პრესის მოღვაწეთა ცოდვა-მადლის განკითხვა ევალება და ჩუმად ყურს ვუგდებ იმ სამი „ეფექტურად" გამოწყობილი სუბიექტის საუბარს, ჩვენი ცოდვა-მადლის გამკითხავი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთგული სამსახური რომ ევალებათ; მათს საუბარს კროსვორდის ამოხსნის პროცესიც ერთვოდა და, ბუნებრივია, ყურები დაცქვეტილი მქონდა, მსურდა გამეგო, თუ როგორ აღიქვამენ ფართო მასები დღეს ყველაზე „მასობრივ" გასართობს. უცებ:



– სუეცის არხი რომელ ქვეყანაშიაო? – იკითხა ერთმა.

– კროსვორდში წერია? – კითხვავე მიაგება მეორემ.

– თურქეთშიო! – განმარტა მესამემ.

(მე კიდევ უფრო დავცქვიტე ყურები, ალბათ, „ღადავორდის" ახალი სახეობა მოუგონიათ და ესენიც ღადაობენ სამსახურიდან თავისუფალ დროს-მეთქი)

– არა, კაცო, თურქეთში კი არა, კიპრზეაო!– შეუსწორა მეორემ (კვიპროსი იგულისხმა – რედ.)

(აფერუმ, ასეთ მოლადავორდეს – მე ისევ გავიფიქრე – რაკი ასე კარგად აღადავორდებს-მეთქი ხალხს)

– არ ეტევა, შვიდი ასოაო! – შეიცხადა პირველმა.

– შენ იცი, რომ სუეცის არხში გემის ერთი გატარება 100 000 ათასი დოლარი ღირსო?!

– კროსვორდით მიღებულმა იმპულსმა საუბარი სხვაგან გადართო.

– ვიციო! – უთხრა მეორემ.

– შემდეგი კითხვა წაიკითხეო! – ბრძანა მესამემ, რომელსაც ეტყობოდა, რომ მათ შორის ყველაზე მეტი სამსახური ევალებოდა...

ერთის სიტყვით, სუეცის არხის ადგილმდებარეობა გაურკვეველი დარჩა, თუმცა კი მისი დოლარ-გამტარუნარიანობა ცხადად წარმოჩნდა.

მათ კროსვორდის ამოხსნა განაგრძეს, მე კი ზემოთხსენებული გულის საღრღნელი პირველი საბაბი გამიჩნდა.

– თანამედროვე ევროპის მონარქიული სახელმწიფო? – კვლავ დასვა კითხვა კალამმომარჯვებულმა მომსახურემ.

– მოლდავეთიო! – ყველას დაასწრო იმ მესამე „ყველაზე მეტად" მომსახურემ.

(ეს უკვე მეტისმეტი იყო ჩემთვის და, მარტო ყურები კი არა, თუკი რამ გამაჩნდა სხეულზე დასაცქვეტი, ყველაფერი მოქმედებაში მოვიყვანე????!!)

– არ ჩადისო! – ისევ შეიცხადა კალამმომარჯვებულმა.

– დებილები არიან ეს კროსვორდისტები, ერთი მაგათი ასე და ისეო (განა მარტო ასე, ისეცო! – რედ.).

...მათ კროსვორდს თავი ანებეს, ისევ დოლარ-გამტარ-შემომტან უნარიან საკითხებზე დაიწყეს მსჯელობა, მე კი გამაოგნებელი კითხვის წინაშე დამაყენეს – ეს სუეცის არხი რომ არ იცოდნენ, კიდევ არა უშავს, მაგრამ მოლდავეთი და მონარქია? თანაც თანამედროვე ევროპაში? გულმა ღრღნა კი არა, მაგმისა და ლავის ამოფრქვევა ერთად დამიწყო; ცალი თვალი მათი ამოსახსნელი კროსვორდისაკენ გავაპარე, გაზეთის სათაური დავაფიქსირე და ორიოდე საათის შემდეგ (ცოდვა-მადლის განკითხვის შემდეგ) ის გაზეთი ვიყიდე. აღმოჩნდა, რომ იქ ყველაფერი სწორად ეწერა... მაშ, საიდან დაფიქსირდა ამ კომუნისტობაგამოვლილი ჩინოვნიკების გონებაში მოლდავეთი, როგორც მონარქიული სახელმწიფო?!

...იმ საღამოს (29.05.1998 წ.) მოლდავეთის მეფის სასახლეში მაიკლისა და ამენდას ქორწინებისას ქერინგთონების მთელი დინასტია ამოწყვიტეს, რომლის უნებლიე მოწმე მეც შევიქენი, რადგან ოჯახში სტუმრად სინათლე იყო მოსული და ორიოდე საათს ტელევიზორით ჩვენც გავნებივრდით...

მართალია, იმ დღეს გაცნობიერებული იდუმალი კითხვის პასუხი მოიძებნა, მაგრამ უარესი წარმოიშვა – ნუთუ ისეთი დებილები ვგონივართ ყოფილი საბჭოელები იმ „მაღალგანვითარებულ" დემოკრატებს, რომ თვალსა და ხელს შუა „გვალადავებენ" – 80-იან წლებში მოლდავეთში მეფე იჯდა და სასახლეები ჰქონდაო?!

ახლა მე რომ კროსვორდში ჩავწერო არკანზასის სოციალისტური შტატის რაიკომის პირველი მდივანი ვინ იყო-მეთქი, ვიქნები მტყუანი? ან იქნებ იკითხოთ, ამ სუეცის არხის და მოლდავეთისათვის რა „კუჭი გეწვისო", მაგრამ ხვალ-ზეგ ისეთი ფილმიც შეიძლება ჩამოიტანონ, სადაც არგენტინელები ან მექსიკელები იტყვიან – ალაზნისპირა ჯუნგლებში ჰიპოპოტამმა დამელიჯაო და, მე მგონი, ამის თქმისას სინდისი არ შეაწუხებთ, ეროვნულ კოლეგიალობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

თუმცა ერთი იმედი მაინც არის – ამ ბოლო დროს ჩვენი სახელმწიფოს პასუხისმგებელმა პირებმა ლათინურ ამერიკაში სიარულს მოუხშირეს და ეგებ როგორმე გააგებინონ, რომ ალაზანში ჰიპოპოტამები კი არა, საქინძმაროდ გამზადებული ლოქოები დაცურავენ...

ვნახოთ, ვნახოთ!...

აღდგომა და ხვალეო...

*ალ.ელერდაშვილი*




**თარაზულად:** 12. როგორ შეიძლება გაიქცე ქალისაგან, თუ მისმა ქმარმა შემოგისწრო? (სამსიტყვიანი კომპოზიტი). 13. ყველაზე კარგი სათამაშო ადგილი თბილისში, მისი სახელიდან გამომდინარე. 15. მორწმუნე, რომელიც რელიგიების შექმნამდე არსებობდა. 16. იხილეთ ფოტო... ალბათ, არ გაგიჭირდებათ ამ კაცის სახელის და გვარის გახსენება. 17. გაიხსენეთ ფრანგი მწერალი, გვარად ბაზენი, სახელად - რა? 18. საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი. 19. ქალაქი პოლონეთში, სადაც ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკი იყო განლაგებული. 20. ელექტროსაქმის სპეციალისტი. 21. როგორი აზროვნება გააჩნდათ 80-90-იანი წწ. საქართველოს მრავალ პოლიტიკურ „მოღვაწეს"? 23. გადაშენებულ არსებათა შემსწავლელი მეცნიერება. 26. 60-70-იანი წწ. იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე. 29. ქალაქის ტიპის დასახლება ჩუკოტკაში (უკაცრავად!... ეს იძულებითი საკროსვორდო მანევრი გახლავთ). 30. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ხელსაწყო. 33. ოთხი ადამიანური ხასიათიდან ერთ-ერთი (ანუ როგორი?). 34. პურეულის სალეწი უძველესი იარაღი. 36. საძოვრის სახესხვაობა. 38. საცეკვაო დაწესებულება. 39. ერთგვარი თამაში რგოლებით. 40. ჰოლივუდის ბუდისტი მსახიობი (სახელი და გვარი). 43. ქალაქი ესპანეთში. 45. ქართული ღვინო. 46. როდის იქნებაო, მგონი, ქარი? – რას გვეუბნებოდა ერთი პოპულარული პიესის სათაური? 48. მსუბუქი ჟანრის სცენიური ქმნილება. 50. უსაქმური ანუ როგორი? 51. უდანაშაულობის დამამტკიცებელი ცნება. 52. 70-იან წლებში პოპულარული ინდური ფილმი. 53. სიტყვა, რომელიც მესამე პირის სიახლოვეს მომხდარ მოვლენას ნაცვალსახელურად გამოხატავს. 54. დიდი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი. 56. ჩვენი სამეზობლო ქვეყნის ლიდერი. 57. რა უნდა გააჩნდეს ყოველ ადამიანს (ადამიანს-მეთქი)? 59. (კომუნისტური ეპოქის) ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი. 61. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი. 63. რევოლუციამდელი პოლიციის მოხელე სოფელში. 65. ზურაბ ქაფიანიძის კინოპერსონაჟი. 66. ჭკუაგამრუდებულობით დაავადებული. 67. მოგზაურობა-მომლოცველობით დაკავებული პირი.




**შვეულად:** 1. რა გვარი იყო ის ბერძენი, რომელსაც გუნდ „პირველი მერცხლის" წევრი ელოდებოდა? 2. არადიპლომირებული მკურნალი. 3. ზედმეტი ემოციურობისაგან თავისუფალი სუბიექტი. 4. ამბობენ, რომ ეს თამაში ფსიქიატრიული სამკურნალოს პაციენტებისათვის მოიგონესო... რომელი თამაში იგულისხმება? 5. ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი დედაქალაქი. 6. ქალაქი სომხეთში. 7. ხელოვნური საამშენებლო ნედლეული. 8. 70-80-იანი წწ. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელი. 9. რუსული ესტრადის მომღერალი (სახელი და გვარი). 10. სპორტული აღნაგობის სუბიექტი. 11. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. 14. საზღვაო ხომალდის სახესხვაობა. 22. ძმაბიჭი – ძველთბილისურად. 24. მედიცინის დარგი. 25. თბილისის საპატიო მოქალაქე ბერძენი. 27. უძველესი ებრაული რელიგიური ხასიათის ნაწარმოები. 28. ქალაქი რუსეთში. 31. ძველებური მუსიკალური ინსტრუმენტი. 32. ის, რაც სხვისგან დამოუკიდებლად, თავისთავად არსებობს. 34. ანტიჰიპერტონული მედიკამენტი. 35. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი. 37. მთავარი პერსონაჟი ფილმისა „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება". 41. აკუსტიკური ცნება. 42. აღდგენა-გამართლება ანუ რა? 44. ჯაზსა და ასტრონავტიკაში ერთობ ცნობილი გვარი. 47. რა ერქვა კაცს, რომელიც ღვინის ჭურჭელში „დაატყვევეს"? 49. ესპანეთის ისტ. რეგიონი. 52. სოფელი კახეთ-გარეკახეთის საზღვარზე. 55. აუცილებელი სატელევიზიო „სიუჟეტი". 56. სიწითლის ადამიანური სახესხვაობა. 58. მცენარე, რომელსაც ევროპელები შოკოლადს უწოდებდნენ. 60. ქალაქი ყოფილ გდრ-ში. 62. მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდის ლეგენდარული კაპიტანი. 64. სპეციფიური ქართული სახელი მამაკაცისა.

## გასული (№14) ნომრის პასუხები








ი/ს „ფანტაზია", რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, № 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
„300 არაგველი", გუთნის 10, ტელ. 77-64-80
წერილებისათვის – 380003, ალ.ელერდაშვილს, მოკითხვამდე